ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს №8 სხდომის ოქმი

თბილისი 20.06.07

სხდომას თავმჯდომარეობდა წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი კახაბერ ლორია. წარმომადგენლობითი საბჭოს სრული შემადგენლობა განისაზღვრება 34 წევრით. სხდომას ესწრებოდა უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 27 წევრი:

1. ელგუჯა მექვაბიშვილი
2. მიხეილ ჩიკვილაძე
3. ქეთევან მარშავა
4. ნუგზარ თოდუა
5. სოფიო ქვარცხავა
6. ქეთევან მჭედლიშვილი
7. დავით კერესელიძე
8 შოთა სამსონია
9. ამირან ბიბილაშვილი
10. მერი მემარნიშვილი
11. მარი მენთეშაშვილი
12. ზურაბ ძლიერიშვილი
13. მარიამ ჩეკურიშვილი
14. გიორგი შამათავა
15. რომან შაქარიშვილი
16. ზურაბ ფაღავა
17.ილია მესხიშვილი
18. თათია მჟავანაძე
19. ირაკლი აბესაძე
20. გიორგი გოგსაძე
21. კახაბერ ლორია
22. რამაზ ქურდაძე
23. დამანა მელიქიშვილი
24. ქეთევან ხუციშვილი
25. ცირა ბარამიძე
26. ნინო ლომოური
27. ავთანდილ აბდუშელიშვილი

<u>დღის წესრიგი</u>

1) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული ქონების ნაწილის იჯარით გაცემა;
2) ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავების წესის დამტკიცება;
3) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მიღება;
4) წარმომადგენლობითი საბჭოს დროებითი რელამენტის ძალადაკარგულად ცნობა.

1) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული ქონების ნაწილის იჯარით გაცემასთან დაკავშირებით მოხსენება გააკეთა ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ქ-ნ გულნაზი გალდავამ.
გაიმართა აღნიშნული საკითხის განხილვა. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა გამოთქვეს აზრი და დასვეს შეკითხვები. ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა უპასუხა დასმულ შეკითხვებს: უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ეზოსა და მაღლივ კორპუსში არსებულ ნაგებობებში იგეგმება კვების ობიექტების გახსნა, რომელიც იჯარით გაიცემა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით კონკურსის გამოცხადების შემდეგ. აღნიშნულ საკითხს ღია კენჭისყრისას მხარი დაუჭირა წარმომადგენლობითი საბჭოს 27 წევრმა.

2) ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი შეიმუშავა აკადემიურმა საბჭომ და დასამტკიცებლად წარუდგინა წარმომადგენლობით საბჭოს. საკითხთან დაკავშირებით სხდომაზე გამოითქვა სხვადასხვა მოსაზრება. წარმოდგენილი წესის დამტკიცებას მხარი დაუჭირა 25 წევრმა, წინააღმდეგი იყო 2 წევრი.

3) განსახილველი საკითხის შესახებ სხდომის წევრებს ინფორმაცია მიაწოდა წარმომამდგენლობითი საბჭოს სპიკერმა. მან აღნიშნა, რომ სხდომის წევრებისათვის დარიგებული წესდების პროექტი შემუშავდა აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს ერთობლივი სამუშაო ჯგუფის მიერ. რის შემდეგაც აღნიშნული პროექტის განხილვა შედგა უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოში. აკადემიურმა საბჭომ პროექტთან დაკავშირებით მიიღო დადგენილება.

აკადემიური საბჭოს დადგენილების წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის წევრებისათვის გასაცნობად წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა სიტყვა გადასცა აკადემიური საბჭოს თავმჯდომარეს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს პროფესორ გიორგი ხუბუას.
პროფესორმა გიორგი ხუბუამ სხდომის წევრებს წაუკითხა აკადემიური საბჭოს დადგენილების ტექსტი, რომლის მიხედვითაც აკადემიური საბჭო იწონებს წესდების პროექტს გარკვეული შენიშვნებით.

ამის შემდეგ გაიმართა წარმოდგენილი პროექტის განხილვა. აზრი გამოთქვეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა: დამანა მელიქიშვილმა, რომან შაქარიშვილმა, ელგუჯა მექვაბიშვილმა, ზურაბ ძლიერიშვილმა და ცირა ბარამიძემ. მათ მხარი დაუჭირეს წარმოდგენილ პროექტს და პროექტთან დაკავშირებით აკადემიური საბჭოს დადგენილებაში ასახულ შენიშვნებს.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა სხდომის წევრებს შესთავაზა მხარი დაეჭირათ, როგორც პროექტისათვის საზოგადოდ, ისე აკადემიური საბჭოს დადგენილებაში გამოთქმული შენიშვნისათვის, რომელიც ითვალისწინებს უნივერსიტეტის წესდების მიღებას, აგრეთვე, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანას წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის დამსწრეთა უმრავლესობით და არა წარმომადგენლობითი საბჭოს სიითი შემადგენლობით, როგორც პროექტის თავდაპირველ ვარიანტში იყო აღნიშნული.

წარმომადგენლობითმა საბჭომ ღია კენჭისყრის წესით ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება, რომ უნივერსიტეტის წესდების მიღება და მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა უნდა ხდებოდეს წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის მონაწილეთა ნახევარზე მეტით, იმ პირობით, რომ სხდომას ესწრება წარმომადგენლობითი საბჭოს სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

აკადემიური საბჭოს დადგენილებაში გამოთქმული მეორე შენიშვნის თაობაზე წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა განაცხადა, რომ მისი გაზიარება მიზანშეწონილია გარკვეული რედაქციული ცვლილებით, რომელიც არსებითად არ შეცვლის აკადემიური საბჭოს მიერ გამოთქმული მოსაზრების შინაარსს. მან სხდომას შესთავაზა წესდების პროექტის 32-ე მუხლის საკუთარი ვერსია. აღნიშნულთან დაკავშირებით აზრი გამოთქვა წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, გიორგი გოგსაძემ, რომელმაც განაცხადა, რომ არ დაუჭერს მხარს ზემოაღნიშნული მუხლის არც თავდაპირველ და არც შესწორებულ ვერსიებს.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა ღია კენჭისყრა. 32-ე მუხლის სპიკერისეულ რედაქციას, რომელიც ძირითადად ეყრდნობოდა აკადემიური საბჭოს დადგენილებაში ასახულ პოზიციას, მხარი დაუჭირა წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის 26 წევრმა, წინააღმდეგი იყო 1 (გიორგი გოგსაძე).

საკითხის განხილვის დასასრულს სხდომის თავმჯდომარემ სხდომის წევრებს შესთავაზა, კენჭი ეყარათ უნივერსიტეტის წესდების პროექტისათვის სხდომაზე უკვე გაზიარებული შენიშვნებით. ღია კენჭისყრით უნივერსიტეტის წესდების მიღებას მხარი დაუჭირა წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის მონაწილე ყველა (27) წევრმა. საბჭოს წევრებმა ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება უნივერსიტეტის წესდების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის დასამტკიცებლად გადაცემის შესახებ.

4) სპიკერმა წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის წევრებს შესთავაზა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების მომენტიდან ძალადაკარგულად ჩაითვალოს წარმომადგენლობითი საბჭოს დროებითი რეგლამენტი.

<u>მიღებული გადაწყვეტილებები</u>

1) წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული ქონების ნაწილის კონკურსის წესით იჯარით გაცემის შესახებ.

2) წარმომადგენლობითი საბჭოს 25 წევრმა მხარი დაუჭირა აკადემიური საბჭოს მიერ წარმოდგენილი ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავების წესის დამტკიცებას, წინააღმდეგი იყო 2 წევრი.

3) წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის წევრებმა კენჭი უყარეს უნივერსიტეტის წესდებას და ერთხმად მიიღეს იგი. საბჭოს წევრებმა ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება უნივერსიტეტის წესდების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის დასამტკიცებლად გადაცემის შესახებ.

4) წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის მონაწილეებმა ერთხმად გადაწყვიტეს, წარმომადგენლობითი საბჭოს დროებითი რეგლამენტი ძალადაკარგულად გამოეცხადებინათ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების მომენტიდან.

<u>დანართი:</u>

1) აკადემიური საბჭოს მიერ 2007 წლის 18 ივნისს მიღებული დადგენილება №25;
2) აკადემიური საბჭოს მიერ 2007 წლის 18 ივნისს მიღებული №3 წარდგინება;
3) ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2007 წლის 18 ივნისის №412-02 მინართვა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოსადმი.

სხდომის თავმჯდომარე — კახაბერ ლორია

სხდომის მდივანი — მარიამ ჩეკურიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

N 412-02 "18" 06 2007წ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობით საბჭოს

მოგახსენებთ, რომ "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 85-ე მუხლის თანახმად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ქონების იჯარით გაცემა, ასევე ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღება ქონებასთან დაკავშირებით, თუ იგი სცილდება საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ფარგლებს, შეიძლება მხოლოდ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს თანხმობით, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გვესაჭიროება კვების ობიექტების ფართის იჯარით გაცემა და შესაბამისი იჯარის ხელშეკრულებების გაფორმება.

მოგახსენებთ, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 242-ე მუხლის შესაბამისად უძრავი ნივთი შეიძლება სხვა პირს გადაეცეს სარგებლობაში ისე, რომ იგი უფლებამოსილია, როგორც მესაკუთრემ, გამოიყენოს ეს ნივთი და არ დაუშვას მესამე პირთა მიერ მისით სარგებლობა, მაგრამ მესაკუთრისაგან განსხვავებით, მას არა აქვს ამ ნივთის გასხვისების, იპოთეკით დატვირთვის ან მემკვიდრეობით გადაცემის უფლება. ამ ნივთის გაქირავების ან იჯარით გადაცემისათვის საჭიროა მესაკუთრის თანხმობა.

იჯარით გასაცემი ფართი საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ უნივერსიტეტს მისი არსებობის მთელი პერიოდისათვის გადმოცემული აქვს უსასყიდლო უზუფრუქტის სახით 2006 წლის 17 მარტის №1-1370 და №1-2500 უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებების საფუძველზე.

კანონით დადგენილი წესით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსაგან ივანე ჯავახიშვილის სახლობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მიღებული აქვს თანხმობები ი. ჭავჭავაძის გამზ. №1-ში მდებარე 1060.56 კვ.მ ფართისა და უნივერსიტეტის ქ. №2-ში მდებარე 664 კვ.მ ფართის იჯარით გაცემაზე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 581-ე მუხლის მიხედვით კი იჯარის ხელშეკრულებით მეიჯარე მოიჯარეს გადასცემს განსაზღვრულ ქონებას დროებით სარგებლობაში გარკვეული სარგებლის სანაცვლოდ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, თქვენს გადაწყვეტილებას კვების ობიექტებისათვის საჭირო ფართის იჯარით გასაცემად, რათა შემდგომში უზრუნველვყოთ კანონით დადგენილი პროცედურით კვებაზე კონკურსის გამოცხადება.

პატივისცემით,

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გ. გალდავა

ჭავჭავაძის გამზ. 1, 0128 თბილისი, საქართველო
http://www.tsu.ge; usc@tsu.ge
ფელეფონი +995 32 223501

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის 3-ე ნაწილის თანახმად, აკადემიური თანამდებობის დაკავების მიზნით ასისტენტ-პროფესორთა ღია კონკურსით შერჩევა ხორციელდება შემდეგი წესით:

1. თსუ ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე ასარჩევ კანდიდატთა გამოვლენის მიზნით იქმნება საკონკურსო კომისია. საკონკურსო კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება კომისიის თავმჯდომარის, კომისიის მდივნის და სულ მცირე 3 წევრის შემადგენლობით.
2. საკონკურსო კომისიას ქმნის თსუ აკადემიური საბჭო შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს მიერ წარმოდგენილი კანდიდატებისაგან შერჩევის გზით. წარმოდგენილი კანდიდატების ოდენობა უნდა იყოს კომისიის წევრთა დადგენილი ოდენობაზე ორჯერ მეტი.
3. საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის, მდივნის და წევრების შერჩევა ხორციელდება თსუ აკადემიური საბჭოს მიერ ხმათა უბრალო უმრავლესობით.
4. თსუ აკადემიური საბჭო უფლებამოსილია საკონკურო კომისიის წევრად აირჩიოს ისეთი პირი, რომელიც არ იყო წარმოდგენილი ფაკულტეტის საბჭოს მიერ. საკონკურსო კომისიაში აღნიშნული წესით დანიშნული წევრების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს საერთო რაოდენობის ნახევარს.
5. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია შექმნას სპეციალური საექსპერტო ჯგუფები, რომლებიც არ იღებენ მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღებაში.
6. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარი მაინც.
7. საკონკურსო კომისია გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით.
8. თსუ ასისტენტ-პროფესორად შეიძლება არჩეული იქნეს დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი ან თსუ დოქტორანტურის სტუდენტი.
9. კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს:
   ა. განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე;
   ბ. სამოტივაციო წერილი;
   გ) ავტობიოგრაფია;
   დ) დიპლომისა და დანართის ასლი;

ბ. სამოტივაციო წერილი;
გ) ავტობიოგრაფია;
დ) დიპლომისა და დანართის ასლი;
ე) სამეცნიერო ხარისხის ან დოქტორანტურაში სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
ვ) რეკომენდაცია

10. თსუ ასისტენტ-პროფესორთა შესარჩევი კონკურსი ტარდება ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე ხორციელდება კანდიდატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.
11. კონკურსის მეორე ეტაპზე ხორციელდება კონკურსანტთა გასაუბრება. გასაუბრების მიზანია დაადგინოს კონკურსანტის პროფესიული კვალიფიკაციისა და უნარ-ჩვევების შესაბამისობა დასაკავებელ თანამდებობასთან.
12. კონკურსანტთა დოკუმენტაციისა და ზეპირი გასაუბრების შედეგების შეფასების სისტემა განისაზღვრება საკონკურსო კომისიის რეგლამენტით 1 დანართით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით.
13. ასისტენტ-პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსს აცხადებს რექტორი ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე.
14. ასისტენტ-პროფესორის ვაკანტურ აკადემურ თანამდებობაზე კონკურსი ცხადდება საბუთების მიღებამდე არაუგვიანეს ერთი და კონკურსის ჩატარებამდე არაუგვიანეს ორი თვით ადრე. კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები უნდა გამოქვეყნდეს გაზეთ "თბილისის უნივერსიტეტში" და განთავსდეს თსუ ელექტრონულ გვერდზე.

გიორგი ხუბუა

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი

ზეპირი გასაუბრების კრიტერიუმები

გადმოცემის უნარი
ლოგიკური აზროვნების უნარი
ქცევის, მეტყველების მანერა

გადმოცემის უნარი – კონკურსანტი ახდენს თუ არა თემის ცოდნის დემონსტრირებას, საუბარი არის თუ არა დამაჯერებელი, პრეზენტაცია არის თუ არა საინტერესო.

ლოგიკური აზროვნების უნარი – საუბარი შედგება თუ არა ლოგიკურად ერთმანეთთან კავშირში მყოფი თემებისაგან, არის თუ არა საუბრის თემა ნათლად წარმოდგენილი, საუბარს აქვს თუ არა დასკვნითი ნაწილი.

ქცევის, მეტყველების მანერა – არის თუ არა საუბარი გრამატიკულად გამართული. იყენებს თუ არა აკადემიურ ლექსიკას, სახის მეტყველება შეესაბამება თუ არა საუბრის თემას. კონკურსანტი ხომ არ არის დაძაბული. საუბარი მიმდინარეობს თუ არა მეგობრულ ატმოსფეროში. როგორია აუდიტორიასთან კონტაქტი.

ავტობიოგრაფიის შეფასების კრიტერიუმები

უცხოეთში სწავლის ან სამეცნიერო მუშაობის გამოცდილება
ეროვნულ და საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობა
საქართველოში და საზღვარგარეთ პუბლიკაციები
მოტივაციის დამაჯერებლობა

სრული პროფესორის (მიმართულების ხელმძღვანელის) რეკომენდაცია

შეფასების სისტემა

ძალიან კარგი – 5
კარგი – 4
საშუალო – 3
დამაკმაყოფილებელი – 2
არადამაკმაყოფილებელი – 0-1

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭო

IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
ACADEMIC COUNCIL

"18" 06 2007

დადგენილება

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების პროექტის განხილვის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის თანახმად,

1. მოწონებულ იქნეს აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს ერთობლივი სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული უნივერსიტეტის წესდების პროექტი შემდეგი შენიშვნებით:

ა) 32-ე მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. ფაკულტეტის დეკანის არჩევისა და კანდიდატთა რეგისტრაციის წესს განსაზღვრავს აკადემიური საბჭო და ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.
2. სათანადო წესით რეგისტრირებულმა კანდიდატმა აკადემიურ საბჭოს უნდა წარუდგინოს ავტობიოგრაფია და ფაკულტეტის განვითარების კონცეფცია.
3. ფაკულტეტის დეკანის არჩევნებზე დაიშვება ის კანდიდატი/კანდიდატები, რომელსაც მხარს დაუჭერს აკადემიური საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობა.

ბ) მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

3. უნივერსიტეტის წესდების მიღება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) სხდომის მონაწილეთა უმრავლესობით.

გიორგი ხუბუა

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი